KA070185192800615

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

**Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia**

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377
**www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge**

**N01/15-4974** **07 / სექტემბერი / 2015 წ.**

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირთან თანამშრომლობით, 2015 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისში იმართება რეგიონალური კონფერენცია - „თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიული ქალაქებისთვის (COMUS) და ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურისა და შემოქმედების პროგრამა“. კონფერენციის მსვლელობისას ევროკომისია ასევე გამართავს პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ („Creative Europe“) პრეზენტაციას.

ღონისძიების ფარგლებში თბილისს ესტუმრებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების კულტურის სამინისტროების ხელმძღვანელი პირები, პროექტში ჩართული ისტორიული ქალაქების მერები, პროგრამის კოორდინატორები, ჟურნალისტები და ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის წარმომადგენლები.

კონფერენციის თემატიკის აქტუალობიდან გამომდინარე, თქვენი დასწრება აღნიშნულ ღონისძიებაში უაღრესად მნიშვნელოვანია და მოგმართავთ თხოვნით, დაგვიდასტუროთ თქვენი მონაწილეობა მითითებულ ელექტრონულ მისამართზე არაუგვიანეს მ.წ. 10 სექტემბრისა, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

საკონტაქტო პირი: ეკატერინე მიქაძე (ტელ: 599853288; ელ/ფოსტა: ekomikadze123@gmail.com)

დანართი: 2 ფურცელი (კონფერენციის დღის წესრიგის პროექტი)

პატივისცემით,

მინისტრი მიხეილ გიორგაძე